

„ფსოუს სასაზღვრო პუნქტი ცვლილებების გარეშე იმუშავებს“

2018 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მსვლელობისას, აფხაზეთ-რუსეთის ე.წ. საზღვარი ცვლილებების გარეშე იფუნქციონირებს. ამის შესახებ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თავმჯდომარის მოადგილემ ნოდარ ჩაჩხიანმა განაცხადა. მისი თქმით, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, ქალაქ სოჭში საფეხბურთო მატჩების ჩატარების პერიოდში, ფსოუს ე.წ. საზღვრის მუშაობაში არანაირი ცვლილებები არ იგეგმება და დაამატა, რომ რუსულ მხარესთან, ჯერ კიდევ შარშან, შეთანხმებულია გეგმა, რომელიც დაარეგულირებს მოცემულ საკითხს.

ნოდარ ჩაჩხიანმა განმარტა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლის წესი. მისი თქმით, საზღვრის გადმოკვეთისას უცხო ქვეყნის მოქალაქეს უნდა გააჩნდეს მოწვევა ან უნდა მიიღოს ვიზა უშუალოდ ე.წ. სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე, სადაც განთავსებულია დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს სავიზო სამსახური.

ჟურნალისტებთან საუბრის დასასრულს, ნოდარ ჩაჩხიანმა აღნიშნა, რომ არანაირი რეჟიმული შეზღუდვები ე.წ. საზღვარზე არ იგეგმება და დაამატა, რომ ერთადერთი ცვლილება შეეხება სატვირთო და სამგზავრო ავტოტრანსპორტის გადაადგილებას, რომლისთვისაც სავალდებულო იქნება „გლონასის“ (გლობალური სანავიგაციო სისტემა) სისტემის დამონტაჟება სატრანსპორტო საშუალებებზე.

07.06.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://sputnik-abkhazia.ru/radio/20180607/1024162448/chachxiani-pogranpost-sou-vo-vremya-chm-2018-budet-rabotat-bez-izmenenij.html>

„ოპოზიციური კავშირი ორმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დატოვა“

ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი ე.წ. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების კავშირი, რომელიც 2018 წლის იანვარში შეიქმნა და რომელშიც შედიან „ამცახარა“, „ერთიანი აფხაზეთი“, „კიარაზა“, „აზზანხარა“, „აპრა“, „ჩვენი სახლი აფხაზეთი“ და „აფსნის ვეტერანთა და ახალგაზრდობის კავშირი“ ორმა ორგანიზაციამ დატოვა.

ე.წ. საზოგადოებრივი ორგანიზაციის, „ჩვენი სახლი აფხაზეთი“, განცხადებაში ვკითხულობთ, რომ გამოიკვეთა აშკარა წინააღმდეგობები ე.წ. ოპოზიციურ კავშირსა და ე.წ. საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკური სვლების ხედვაში.

„აფსნის ვეტერანთა და ახალგაზრდობის კავშირი“ ე.წ. ოპოზიციური კავშირის დატოვების მიზეზად, ე.წ. ოპოზიციურ ველში ე.წ. გაერთიანების უმოქმედობას ასახელებს.

11.06.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhazinform.com/item/7458-nash-dom-abkhaziya-i-soyuz-veteranov-i-molodezhi-apsny-zayavili-o-vykhode-iz-oppozitsionnogo-soyuza-obshchestvennykh-i-politicheskikh-organizatsij>

„ინტერნეტ გვერდებზე გამოკითხვის შედეგები“

ოკუპირებულ აფხაზეთში არსებულ Facebook-ის შვიდ გვერდზე/ჯგუფში, რომლებშიც გაწევრიანებულია 10 000-ზე მეტი მონაწილე, ჩატარდა ინტერნეტ გამოკითხვა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატების რეიტინგის გამოსავლენად.

გამოკითხვა ჩატარდა შემდეგ ჯგუფებში/გვერდებზე;

1. „Патриоты Абхазии“-18 728 მონაწილე;
2. „За будущее Абхазии“ - 11 539 მონაწილე;
3. „Абхаз-Авто“ - 22 565 მონაწილე;
4. „Президент Абхазии“ - 10 712 მონაწილე;
5. „Новости Абхазии“ - 13 560 მონაწილე;

6. „Нартаа“ - 12 473 მონაწილე;

7. „Абхазия Сегодня“ - 10 545 მონაწილე;

ინტერნეტ გამოკითხვა 2018 წლის 8 ივნისიდან 10 ივნისამდე ჩატარდა. შედეგები 11 ივნისის 9 სთ-ზე გამოქვეყნდა.

ინტერნეტ გამოკითხვაში მონაწილეობა 1 201 რესპონდენტმა მიიღო.

კითხვაზე, „2018 წლის 10 ივნისს (კვირა) რომ იმართებოდეს აფხაზეთის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები თქვენ ვის მიცემდით ხმას“-რესპონდენტების პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- 1) 49,13 % (590 ადამიანი)- „არ წავალ არჩევნებზე“;
- 2) 14,74 % (177 ადამიანი)- „ჩემი კანდიდატი არ არის სიაში“;
- 3) 13,66 % (164 ადამიანი) – „ბატალ ტაბალუა“; (ე.წ. პარლამენტის დეპუტატი)
- 4) 7,41 % (89 ადამიანი)-„რაულ ხაჯიმბა“;
- 5) 6,08 % (73 ადამიანი)-„ასლან ბჟანია“; (ფონდი „აპრა“)
- 6) 4,33 % (52 ადამიანი)-„რაულ ლოლუა“; (ე.წ. პარლამენტის დეპუტატი)
- 7) 1,75 % (21 ადამიანი)-„ადგურ არძინბა“ (ე.წ. ეკონომიკის მინისტრი)
- 8) 1,33 % (16 ადამიანი)-„ასლან ბასარია“ („ჩერნომორენერგო“)
- 9) 0,75 % (9 ადამიანი)-„ბესლან ეშბა“ (ყოფილი ვიცე-პრემიერი)
- 10) 0,58 % (7 ადამიანი)-„ადგურ ხარაზია“ (ოკუპირებული სოხუმის ადმინისტრაციის ე.წ. ხელმძღვანელი)

11.06.2018 ვრცლად იხილეთ <https://www.facebook.com/simonkananit/posts/147798822748414>

„სოხუმის ნავსადგურიდან ყირიმის მიმართულებით პირველი სატვირთო გემი გაემგზავრა“

11 ივნისს, ოკუპირებული სოხუმის ნავსადგურიდან, 3 000 ტონა ინერტული სამშენებლო მასალებით (გრანიტული ხრეში) დატვირთული პირველი სატვირთო გემი ყირიმის ნავსადგურისკენ გაემართა.

ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის ე.წ. მინისტრის ადგურ არძინბას განმარტებით, ოკუპირებული სოხუმის პორტებს შეუძლიათ 5 000 ტონამდე ტევადობის სატვირთო გემების მიღება, რაც წელიწადში 1 000 000-მდე ტონის მიღების საშუალებას იძლევა. მისი თქმით, ოკუპირებული სოხუმის პორტში ხომალდი იტვირთება 36 სთ-ში და ჩამოვლას კი 48 სთ. ჭირდება.

შეგახსენებთ, რომ ოკუპირებულ ყირიმში ინერტული მასალების მიწოდება ხორციელდება 2017 წლის 27 ოქტომბერს დადებული აფხაზურ-რუსული ე.წ. შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ხელი მოეწერა აფხაზურ-რუსული ე.წ. საქმიანი ფორუმის დროს.

ადგურ არძინბას ინფორმაციით, ოკუპირებულ ყირიმში გასაგზავნი გრანიტული ხრეში მოიპოვება მხოლოდ ოკუპირებულ ოჩამჩირის რაიონში და დაამატა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ბიუჯეტში ამ „ოპერაციის“ შედეგად 2018 წლის დასასრულამდე 20 000 000 რუბლი შევა.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ინერტული მასალების ინტენსიური გაზიდვა. ამ მიზნით, იგეგმება ოკუპირებული ოჩამჩირის პორტის მოდერნიზირება, ინფრასტრუქტურის მოწყობა სატვირთო გემების მისაღებად და ნაპირების გადრმავება.

ყურადსაღებია, რომ ინერტული სამშენებლო მასალების მოპოვება და რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ყირიმში გაგზავნა ხორციელდება ნიადაგზე და გრუნტზე, ბიოლოგიურ გარემოზე, მცენარეულ საფარზე, ცხოველურ სამყაროზე, იქთიოფაუნაზე ზემოქმედების გამოკვლევის გარეშე (აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი).

12.06.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180612/1024200672/porty-abxazii-mogut-propuskat-do-odnogo-milliona-tonn-gruzov-v-god.html>

„ხანძარი გაგრის მთიანი ზონის ტყეში“

ოკუპირებული გაგრის მთიანი ზონის ტყეში ხანძარი გაჩნდა. ამის შესახებ, დე-ფაქტო რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების სამინისტროში განაცხადეს. ე.წ. სახანძრო-სამაშველო რაზმის უფროსის ამირან ფაჩულიას თქმით, ხანძარი ხალხს არ ემუქრება, სახლები შორსაა. ცეცხლის ჩაქრობა რთულია, ვინაიდან ძალიან ცივად ფერდობებია.

გავრცელებული ინფორმაციით, ადგილზე მუშაობს 80 ადამიანი, ასევე მობილიზებულია 4 სახანძრო მანქანა. რელიეფი ძალიან რთულია და მიუვალი. ხანძრის კერასთან მისასვლელად საგანგებო სამსახურის თანამშრომლები თოკებს იყენებენ.

ამირან ფაჩულიას თქმით, რთული პირობების გამო, უცნობია თუ რა ვადებში მოხდება ხანძრის ლოკალიზება. წინასწარი მონაცემებით, ხანძარი 4 კვადრატული კილომეტრის ფართობზეა გავრცელებული.

12.06.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://sputnik-abkhazia.ru/video/20180612/1024201424/kak-sotrudniki-mchs-tushili-lesnoj-pozhar-v-gagre.html>

„ოკუპირებულ აფხაზეთში დროებით უვიზო მიმოსვლა გაიხსნა“

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის აფხაზეთის ოკუპირებული რესპუბლიკის პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას განკარგულებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის აფხაზეთში დროებით უვიზო შესვლა გაიხსნა ტურისტული მიზნებისთვის – ცვლილება რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს უკავშირდება – აფხაზური მედია წერს. კერძოდ, საუბარია 15 ივნისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით პერიოდზე. განკარგულებაში საქართველოს მოქალაქეებისთვის სპეციალური შენიშვნაა გაკეთებული, რომ ცვლილება საქართველოს მოქალაქეებზე არ ვრცელდება.

15.05.2018 <http://www.timer.ge/de-paqto-apkhazethshi-droebith-uvizo-mimosvla-gaikhsna-uckho-qvekhnis-moqalaqeebisthvis/>

„აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკა ჰონკონგში გამოფენაში მონაწილეობდა“

აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 29 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით ჰონკონგში მიმდინარე საერთაშორისო ნუმიზმატურ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა – “სპუტნიკ-აფხაზეთი” ავრცელებს. ბანკმა გამოფენაზე, რომელშიც 50-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა, 30-მდე მონეტა წარუდგინა სტუმრებს.

“Hong Kong International Numismatic Faire” -ში აფხაზური მონეტები წარმოადგინეს ბანკის წარმომადგენელმა ბესლან ბარათელიამ, ფატიმა ზადემ – ეკონომიკურ-სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორმა და საგარეო კავშირების სამსახურის ხელმძღვანელმა ლიანა არგბამ.

06.06.2018 <http://www.timer.ge/apkhazethis-de-paqto-respublika-honkongshi-gamopenashi-monatsileobda/>